პროლეტარებო, უფლე ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.-პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი, 3 იანვარი, 1944 წ. № 2 (6896). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ პაპუშინს

უძრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გუშინ, 31 დეკემბერს, ქვეითი ჯარის სწრაფი იერიშისა და სატანკო შენაერთების მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, დაიკავეს უკრაინის ხაოლქო ცენტრი—ქალაქი და რკინიგზის კვანძი ჟიტომირი.

ქალაქ ჟიტომირის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ბრეჩკოს, გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის, გენერალ-ლეიტენანტ ჩერნიახოვსკის ჯარებმა და გენერალ-პოლკოვნიკ რიბალკოს ტანკისტებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოლკოვნიკ ლაჩენკოს 322-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ იგნატოვის 336-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ ბუშევის გვარდიის 129-ე მსროლელმა წითელდროშოვანმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ვოროშილოვის ტამანის 395-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ბოგდანოვის 99-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ ვეხინის 350-ე მსროლელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ მუზიკინის 304-ე მსროლელმა დივიზიამ, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ივანოვის კიევის გვარდიის მე-7 სატანკო კორპუსმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ მალიგინის მე-9 მექანიზებულმა კორპუსმა, პოლკოვნიკ მიხაილოვის ფასტოვის გვარდიის 22-ე მოტომსროლელმა ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ ნოვოხატკოს ფასტოვის გვარდიის 51-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ არხიპოვის ფასტოვის გვარდიის 53-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ იაკუბოვსკის ფასტოვის 91-ე ცალკე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ კლესკოს ფასტოვის გვარდიის 52-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ დოროპეის 93-ე ცალკე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ ოსტრიმენკოს გვარდიის 21-ე სატანკო ბრიგადამ, მაიორ პეტროვიჩის გვარდიის მე-14 სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ მელნიკოვის გვარდიის 47-ე ცალკე სატანკო პოლკმა, მაიორ შიშაკოვის კიევის 59-ე ცალკე სატანკო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ ბასოვის ფასტოვის 1893-ე თვითმავალმა საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ ულიკოვის 1831-ე თვითმავალმა საარტილერიო პოლკმა, მაიორ კარტაშოვის 1642-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, მაიორ ნატოპტანის 1644-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ ბოგატირიოვის 839-ე ჰაუბიცის საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ ბოსლავსკის 525-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, არტილერიის გენერალ-მაიორ სანკოს მე-3 საარტილერიო დივიზიამ, პოლკოვნიკ ნემოვის კიევის მე-12 ნაღმმტყორცნელმა ბრიგადამ და არტილერიის გენერალ-მაიორ ვოლკინშტეინის კიევ-ჟიტომირის მე-17 საარტილერიო დივიზიამ.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ ჟიტომირის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „ჟიტომირის“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

ჟიტომირის 322-ე მსროლელი დივიზია,
ჟიტომირის 336-ე მსროლელი დივიზია,
ჟიტომირის გვარდიის 129-ე მსროლელი წითელდროშოვანი დივიზია,
ჟიტომირის 99-ე მსროლელი დივიზია,
ჟიტომირის 350-ე მსროლელი დივიზია,
ჟიტომირის 304-ე მსროლელი დივიზია,
ჟიტომირის 93-ე ცალკე სატანკო ბრიგადა,
ჟიტომირის გვარდიის 21-ე სატანკო ბრიგადა,
ჟიტომირის გვარდიის მე-14 სატანკო ბრიგადა,
ჟიტომირის გვარდიის 47-ე ცალკე სატანკო პოლკი,
ჟიტომირის 1831-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი,
ჟიტომირის 1642-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
ჟიტომირის 1644-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
ჟიტომირის 839-ე ჰაუბიცის საარტილერიო პოლკი,
ჟიტომირის 525-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
ჟიტომირის მე-3 საარტილერიო დივიზია,
ჟიტომირის მე-9 მექანიზებული კორპუსი.

ტამანის 395-ე მსროლელი დივიზია, კიევის გვარდიის მე-7 სატანკო კორპუსი, ფასტოვის გვარდიის 22-ე მოტომსროლელი ბრიგადა, ფასტოვის გვარდიის 51-ე სატანკო ბრიგადა, ფასტოვის გვარდიის 53-ე სატანკო ბრიგადა, ფასტოვის 91-ე ცალკე სატანკო ბრიგადა, ფასტოვის გვარდიის 52-ე სატანკო ბრიგადა, კიევის 59-ე ცალკე სატანკო პოლკი, ფასტოვის 1893-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი, კიევის მე-12 ნაღმმტყორცნელი ბრიგადა და კიევ-ჟიტომირის მე-17 საარტილერიო დივიზია, რომლებმაც არაერთგზის გამოიჩინეს თავი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, წარდგენილ იქნან წითელი დროშის ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 1-ლ იანვარს, 21 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მოსკოვი სამშობლოს სახელით ორასოცდაოთხი ქვეითების ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი ჟიტომირი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ ჟიტომირის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 1 იანვარი.

საქართველოს სს რესპუბლიკამ შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები

1943 წლის 20 დეკემბრისათვის საქართველოს სს რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები.

მათ შორის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ხაზით გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით და წითელი არმიის ფონდის ხაზით 101,7 პროცენტით.

გარდა ამისა, ავანსად 1944 წლის ვალდებულებათა ანგარიშში შეტანილია 30.428 ცენტნერი ხორცი.

დამზადებულია 1.837.588 ჰექტოლიტრი რძე ანუ გეგმის 100,2 პროცენტი, 3.545 ცენტნერი ბრინჯი ყველი, რაც შეადგენს გეგმის 101,3 პროცენტს. (საქდესი).

საქართველოს კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეობამ ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი პური მიჰყიდეს სახელმწიფოს

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა წარმატებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოსადმი მარცვლეული კულტურების ჩაბარების მხრივ—552 ათასი ფუთი პური მიჰყიდეს სახელმწიფოს.

პურის მნიშვნელოვანი რაოდენობა მიჰყიდეს წითელწყაროს, ახალ ქალაქის, წალკის, გურჯაანის, ლაგოდეხის რაიონებისა და სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა.

წითელწყაროს რაიონის კიროვის სახელობის — სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა 10 ათას ფუთზე მეტი მარცვლეული მიჰყიდეს სახელმწიფოს, ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქავთარაძემ სახელმწიფოს მიჰყიდა 150 ფუთი, იმავე რაიონის ედანოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრმა ამზ. ი. ს. ფიროსმანიშვილმა სახელმწიფოს პირადი მარაგიდან მიჰყიდა 120 ფუთი მარცვლეული.

გარდა ამისა, რესპუბლიკის კოლმეურნეობების მიერ 1944 წლის ჩაბარების ანგარიშში ავანსად შეტანილია 71.428 ფუთი მარცვლეული. (საქდესი).

ციტრუსების დამზადების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 116 პროცენტით

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1943 წლის 30 დეკემბრისათვის შესრულებულია 116 პროცენტით. მოკრეფილი და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 412 მილიონზე მეტი მანდარინი და ფორთოხალი.

ქალაქ მოსკოვის მშრომელთა გაეგზავნათ 22.998 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი და ლენინის ქალაქის დამცველთა 16.551 ათასი ცალი მანდარინი და ფორთოხალი.

ციტრუსოვანთა ნაყოფის მნიშვნელოვანი რაოდენობა გაეგზავნათ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მამაც მებრძოლებსა და მეთაურებს.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება და გადაგზავნა გრძელდება. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის გმირს ნ. ზ. ბერიას შვილების მაღალ ჯილდო გადაეცა

სოხუმი („კომუნისტის“ საქ. კორ.). 31 დეკემბერს სოხუმში მთავრობის მაღალი ჯილდო გადაეცა საბჭოთა კავშირის გმირს ნიკოლოზ ბერიას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ გადასცა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დელბამ, რომელიც მიესალმა გმირს და უსურვა ახალი საბრძოლო წარმატება მტერთან ბრძოლაში.

თავის სიტყვაში გმირი ნიკოლოზ ბერია ამბობს:

მხურვალე მადლობას ვუძღვნი პარტიას, მთავრობას, ამხანაგ სტალინს ჩემი საბრძოლო საქმეების მაღალი შეფასებისათვის. ჯილდო მაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის. უფრო ულმობლად ვებრძოლებ მხეც ფაშისტებს მშობლიური საბჭოთა მიწა-წყლიდან გერმანელ დამპყრობთა სრულ განდევნამდე.

გმირს მიესალმნენ სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის დირექტორი გერსამია, საკონსერვო ქარხნის დირექტორი ბაანია, კოშკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი კალურაძე და გვარდიის პოლკოვნიკი ტერენტიევი. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე გვარდიის კაპიტანმა მიხეევმა. მან ილაპარაკა ნ. ტ. ბერიას და მისი მეგობრების გმირობაზე. გულთბილად შეხვდნენ გმირის დედას დარიკო გრიგოლის ასულს, რომელმაც გამოსთქვა თავისი სიხარული და მადლობა დიდი სტალინისადმი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
1 იანვრის ოპერაციული ცნობიდან

1 იანვრის განმავლობაში ნეველის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს 28 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ოსინოვკა, ზამოშიე, ნივიე, ზავორუი, უსტ-დოლისი.

უძრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, ბრძოლებით დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრი ბარაში, ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრი სამგოროდოკი, კიევის ოლქის რაიონული ცენტრები ვოლოდარკა, ბრეგინკი, რკინიგზის საკვანძო სადგურები ბელოკოროვიჩი, პოგრებიშჩე, აგრეთვე დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბელოკოროვიჩი, მიაკოლოვიჩი, ოსოკა, გორბოგოვო, აპოლოსოვკა, ბოგრიცა, კიანკა, იანუშევკა, სოკოლოვი, კურნოე, სტარი ფაიდანი, სტარიგეში, ნოვი ზავოდი, პეროლოვკა, ველიკი ფუშსკი, ველიკაია ტატარინოვკა, სტარი სოლოტვინი, გალჩინეცი, ივანკოვცი, გლუხოვცი, კუშანოვკა, კოროდიშევკა, იუზეფოვკა, ფირმოვკა, ზინოვკა, ტანინოვკა, ბელაშკი, პავლოვკა, ძიუნკოვი, კაპუსტინცი, ვოროგბიოვკა, ანტონოვი, ბერეზნო, იაბლონოვკა და რკინიგზის სადგურები კრეფნო, იაბლონეცი, ბოგუსლავი, დუბოვეცკი, კურნოე, გლუხოვცი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

31 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 78 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი.

* * *

2 იანვრის ოპერაციული ცნობა

2 იანვრის განმავლობაში ნეველის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის ვეხხიტნო, ლახნი, ბარაკანი, ბუგაევკა, კუბოკი, როშნოვო, ეუკოვო.

უძრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და ბრძოლებით დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრები მარხლევსკი, ტროიანოვი, ნემელნიანკა, შუპარჩინი, რომანოვეცკიანი სლოგოდკა, რომაკოვკა, ბრონიცი, ჩერნიცა, ძიბუნკა, კამენი ბროდი, დერმანკა, პრუტოვკა, ჟოლტი ბროდი, დენეში, ჟელეზნიაკი, გვაზდავა, რეია, სემაკი, ხაჟინი, ჟეჟელევო, ფლორიანოვკა, გუბინი, ოვსიანიკი, სტეპანკი, ჩერემოშნოე, მალინკი, ბოგუჩაროვკა, მარშულინეცა, ბუბინი, ოსტაფიკი, რუბიშნე, ბოგოლიუბოვი, ლოგაზინი, ფასტოვკა, ზიერბაკი, ფესიური და რკინიგზის სადგურები დროვიანოი კოსტი, რადოველსკაია, კოიასკი, ვეროვკა, რიხალსკაია, ვერშვნიცა, კოტრდიშევკა.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

1 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 85 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 11 თვითმფრინავი.

* * *

ნეველის დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. გვარდიის ნ ნაწილმა დილაადრიან უეცრად დაარტყა მოწინააღმდეგეს და გაფთრებული ბრძოლის შედეგად დაიკავა მისი რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი. სხვა რაიონში ნ შენაერთის ნაწილებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. სამი დღის ბრძოლების განმავლობაში ამ უბანზე მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. გერმანელებს წაართვეთ 34 ქვემეხი, ბევრი ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი და საომარი მასალა.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. ნ შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრი მარხლევსკი. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრი ტროიანოვი. გერმანელებმა ასწრაფოდ მოუყარეს თავი რეზერვებს და ბევრ რიგ უბნებზე არაერთხელ მოიტანეს კონტრიერიშები. ჩვენმა ჯარებმა მტრის ყველა კონტრიერიში მოიგერიეს, სწრაფად წაიწიეს წინ და გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისგან გაათავისუფლეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და რკინიგზის რამდენიმე სადგური. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში გაჟღეტილია 4 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 68 ტანკი, 29 საველე და თვითმავალი ქვემეხი და 9 ჯავშანტრანსპორტიორი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დაცა, რომელშიც არის 14 საესებით ვარგისი ტანკი, 12 ჯავშანტრანსპორტიორი, 60 ქვემეხი, 200-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 580 ავტომანქანა, 400-მდე სარკინიგზო ვაგონი, 4 სარკინიგზო შემადგენლობა და 7 საწყობი სამხედრო ქონებრივნად, საომარ მასალიანად და საჭურვლიანად. წამოყვანილია ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის სანაპირო ბატარეებმა ჩასძირეს მოწინააღმდეგის თვითმავალი კარჭაპი და საგუშაგო კატერი.

* * *

როვნოს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 13 დეკემბერს დაწყობა გზატკეცილის უბანი. პარტიზანების მიერ ჩაწყობილი ნაღმებზე აფეთქდა გერმანელთა 8 ტანკი და ერთი ტანკეტი. პარტიზანების ჯგუფმა 14 დეკემბერს მოსპო 8 სატვირთო ავტომანქანა საომარ მასალებიანად. ვარდა ამისა, საბჭოთა პატრიოტებმა ლინდაგიდან გადაადგეს გერმანელთა ეშელონი საწვავიანად, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა.

გერმანიის მთავარი სარდლობის რეზერვის 47-ე საარტილერიო პოლკის მე-2 დივიზიონის მეთაურმა, კაპიტანმა ჰაინც ნორდენმა, რომელიც ტყვედ იქნა ჩაგდებული ბალტიისპირეთის 1-ლ ფრონტზე, განაცხადა: „გერმანიის არმიის განუწყვეტელმა უკანდახევამ, რასაც თან სდევს უდიდესი ზარალი, დასცა ჯარების საბრძოლო სულისკვეთება. განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ოფიცრებზე რუსების მიერ დნეპრის წარმატებით გადალახვამ. ხოლო გერმანელთა თავდაცვის გარღვევამ ნეველის რაიონში, სადაც ჩვენ ძალიან ბევრი არტილერია გვქონდა, პანიკური განწყობილება წარმოშვა. სტალინგრადის შემდეგ ჯარისაცებს ძალიან ეშინიათ ფლანგებიდან შემოვლისა და გარშემორტყმისა. ოფიცერთა წრეში სთვლიან, რომ მცირე ხნის შემდეგ ომი გერმანიის ტერიტორიაზე იქნება გადატანილი. ფრონტის ხაზი კი არ მოკლდება, არამედ, პირიქით, გრძელდება და მიიწევს სულ უფრო და უფრო შორს — დასავლეთისაკენ. 1943 წლის საომარმა ამბებმა საბოლოოდ დამარწმუნეს, რომ გერმანიისათვის ომი წაგებულია. შოფლიოს ვერავითარი ძალა ვეღარ გადაარჩენს გერმანიის არმიას განადგურებისაგან. რაც უფრო გაჭიანურდება ომი, მით უფრო საშინელი იქნება კატასტროფა, რომელიც გერმანიას თავს დაატყდება“.

• • •

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ საშინელი მხეცობის შესახებ, რაც ჩაიდინეს გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა კიროვოგრადის ოლქის ხუტორებში—ლენინსკში, დიაკა და ვდოვინ ხუტორში: „1943 წლის ცხრამეტ ოქტომბერს გერმანელებმა მთლად დაწვეს დასახლებული პუნქტები ვდოვინ ხუტორი, დიაკი და ლენინსკი და გაელიტეს თითქმის ყველა მშვიდობიანი მცხოვრები. ცეცხლით მოსპობილია 276 სახლი ყველა სეზონო ნაგებობიანად და კოლმეურნეთა ქონებიანად. ჰიტლერელებმა დახვრიტეს, დაწვეს და დაარჩვეს 1.070 ქალი, მოხუცი და ბავშვი. გერმანელებმა ანა სემენჩენკო და მისი ექვსი წლის შვილი ანდრია ცოცხალნი ჩააგდეს ჯაში. ულიანა ჩეპოლის თვალწინ ჰიტლერელმა მტარვალებმა მოჰკლეს მისი ერთი წლის ბავშვი, შემდეგ კი დედაც დახვრიტეს. ჩვენ მტკიცე რწმენის გამოთქვამთ, რომ ფაშისტი მკვლელები წარსდგებიან სამსჯავროს წინაშე და რომ მათ სრულად მიეზღვევათ საბოლოო თავიანთ საშინელ დანაშაულობათათვის“.

აქტს ხელს აწერენ: მაიორი გრიდიშკო, მაიორი პოლიაოვი, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ვაშჩენკო, უფროსი ლეიტენანტი ბარახტა, ხუტორების მცხოვრებნი—ლუკა ვოროონა, დავით სემენჩენკო, ვასილ ვოროონა, ნიკოლოზ სემენჩენკო, ტიმოთე სემენჩენკო.

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ულოცავს ბელორუსიის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და ყველა მშრომელს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვანი 25 წლისთავის დღეს.

ბელორუსიის მშრომელებმა, მოიპოვეს რა გერმანელ-დამპყრობლებთან და თეთრ პოლონელებთან სასტიკ ბრძოლაში თავისუფლება და დამოუკიდებლობა, საბჭოთა ხელისუფლების 25 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური დახმარებით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, თავიანთი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაში. ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ სამართლიანად დაიკავა მოწინავე ორდენოსანი რესპუბლიკის საპატიო ადგილი სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში. საბჭოთა ხელისუფლების დროს ბელორუსიის მიწა-წყალი გაერთიანდა ბელორუსიის ერთიან სახელმწიფოდ.

ჰიტლერელთა ურდოები, რომლებმაც მიზნად დაისახეს საბჭოთა კავშირის ხალხთა დამონება, დაარღვიეს ბელორუსი ხალხის მშვიდობიანი შრომა, სისხლით რწყავენ ბელორუსიის მიწა-წყალს, გერმანელთა მონობაში მიჰყავთ ათასობით ბელორუსი, უმაგალითო დაუნდობლობით ეკიდებიან ბელორუს ხალხს.

მაგრამ იმ განსაცდელმა, რაც წილად ხვდა ბელორუს ხალხს, ვერ გასტეხა მისი ნებისყოფა მოსისხლე მტერთან ბრძოლისადმი. ბელორუსი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად შეუპოვარ ბრძოლას ეწევა საზიზღარ დამპყრობთა წინააღმდეგ. ბელორუსი ხალხის შვილები გმირულად იბრძვიან წითელი არმიის რიგებში და პარტიზანულ რაზმებში გერმანელ ფაშისტ მტარვალთა წინააღმდეგ, იძიებენ რა შურს თავიანთი ცოლ-შვილისა და დედების ტანჯვა-წამებისათვის.

ცოტა არ არის ის დრო, როცა მამაცი წითელი არმია საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით სავსებით გასწმენდს ბელორუსიის მიწა-წყალს საზიზღარი მტრისაგან, გაათავისუფლებს ბელორუსიის მშრომელთ გერმანელ ფაშისტთა მონობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ბელორუსი ხალხი, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, ფაშისტური უწმინდურების განდევნის შემდეგ, თავისი თავდადებული შრომით უმოკლეს ვადაში აღადგენს მტრის მიერ დანგრეულს ბელორუსიის სახალხო მეურნეობას.

გაუმარჯოს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ბელორუსი ხალხის მამაც შვილებს, რომელნიც გმირულად იბრძვიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოს განთავისუფლებისათვის!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ბელორუს პარტიზანებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში მტრის ზურგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის და ბელორუსიაში პარტიზანული მოძრაობის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“:

1. ალექსანდრე სიმონის-ძე აზონჩიკს
2. ემელიანე ეგნატეს-ძე ბარიკინს
3. ივანე კუზმის-ძე ზახაროვს
4. ნიკოლოზ ვასილის-ძე ზენბიცკის
5. ალექსანდრე ლავრენტის-ძე ისაჩენკოს
6. ალექსი ემელიანეს-ძე კლეშჩევს
7. ილია პავლეს-ძე კოგანს
8. ნიკოლოზ ფილიპეს-ძე კოროლევს
9. თევდორე პეტრეს-ძე კოტჩენკოს
10. ვიქტორ ილიას-ძე ლეონენკოს
11. ბორის ნიკოლოზის-ძე ლუნინს
12. სტეფანე სტეფანეს-ძე მანკოვიჩს
13. თევდორე გრიგოლის-ძე მარკოვს
14. რომან ნაუმის-ძე მაჩულსკის
15. სერგი ივანეს-ძე სიკორსკის
16. ივანე მათეს-ძე ტიმჩუკს
17. ივანე ფილიპეს-ძე ტიტკოვს
18. ვლადიმერ ანდრიას-ძე ტიხომიროვს
19. ვასილ ემელიანეს-ძე ჩერნიშევს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 1 იანვარი.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის პარტიზანთა, პარტიზანული მოძრაობის ორგანიზაციორთა, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

ბელორუსი ხალხის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში მოპოვებული მიღწევებისათვის და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის მოწყობაში ღირსშესანიშნავი წარმატებებისათვის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის XXV წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს „პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით

ა. ვ. ბოგატირიოვი, ი. დ. ვეტროვი, ფ. ვ. ჟიდენკოვი, ვ. გ. კუდრიავეი, პ. ა. ლევიცკი, ნ. ი. მაკაროვი, ვ. ი. მარზოვი, ნ. მ. ნიკოლსკი, ვ. ნ. პერცევი, ე. კ. ტიხოცკი და კ. კ. ხაბენკო;

წითელი დროშის ორდენით—37 კაცი;

სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით—52 კაცი;

სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით — 44 კაცი;

შრომის წითელი დროშის ორდენით — 66 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით—142 კაცი;

„საპატიო ნიშნის“ ორდენით—123 კაცი;

მედლით „მამაცობისათვის“ — 8 კაცი;

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“—9 კაცი;

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“—39 კაცი. (საკდესი).

უმცროს ლეიტენანტ ვ. მ. ჩხაიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა

მდინარე დნეპრის წარმატებით გადალახვისათვის, მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გამაგრებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებით წითელი არმიის ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის ჯგუფ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“. მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა უმცროს ლეიტენანტ ვლადიმერ მიხეილის-ძე ჩხაიძეს.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკელთა წრეები ევროპაში შეჭრის პერსპექტივების შესახებ

ნიუ-იორკი, 2 იანვარი (საკდესი). ამერიკელი მოღვაწენი და პრესა განაგრძობენ დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის პერსპექტივების განხილვას.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, სენატორების უმრავლესობა ჰგმობს სენატორ-იზოლაციონისტების — უილერისა და ჩენდლერის თვალსაზრისს, რომლებიც გამოდიან შეჭრის გეგმების წინააღმდეგ და თავიანთ გამოსვლებს ასაბუთებენ იმ მსხვერპლის შიშით, რასაც შეჭრა მოითხოვს ა. შ. შტატებისაგან.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ჰგმობს უილერის განცხადებას და აქვეყნებს ყველაზე ცნობილი სამხედრო ხელმძღვანელების განცხადებას იმის შესახებ, რომ ა. შ. შტატები და ინგლისი გამოიყენებენ მათს განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებას და ამნაირად დაარტყამენ საერთო მტერსო.

გაზეთი აღნიშნავს, უილერი შესაძლო ზარალით გვაშინებსო, და სწერს, რომ „შეიძლება ადიდევ უფრო მეტი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპოს, თუ უილერმა ან ვინმე სხვამ მოახერხა შეასუსტოს საზოგადოებრიობის რწმენა ჩვენი უმაღლესი სარდლობისადმი და გამოიწვიოს განხეთქილება ა. შ. შტატებსა და მოკავშირეებს შორის. ჩვენ არ ვიცით, თუ რა სტრატეგია გახდის გამარჯვებას ყველაზე უფრო ადვილს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ უნდობლობა და ერთიანობის უქონლობა გაართულებენ გამარჯვებას“.

გაზეთი „პმ“ მოწინავე სტატიაში ეხება უილერისა და ჩენდლერის განცხადებას და ჰგმობს „უპასუხისმგებლო პოლიტიკურ ავანტურისტებს“, რომლებიც ცდილობენ სამხედრო ზარალის საკითხიც კი გამოიყენონ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის: გაზეთი ჩერდება უილერის განცხადებაზე — ევროპაში შეჭრა „სახიფათო თამაშს“ წარმოადგენსო და სწერს, რომ რუზველტს არაერთხელ გამოუჩენია სიფრთხილე, მაგრამ წინდ

ურალელთა ანგარიში

საბჭოთა კავშირის დიდ მარშალს ამხანაგ სტალინს

მოგილოცავთ ახალ წელს, ჩვენო ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას თქვენს დაუცხრომელ შრომაში საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

1943 წელი გარემოსილია საბრძოლო დიდებით. სამშობლოს სალუტთა მძლავრი ზალპები ჩვენი მამაცი ჯარების პატივსაცემად მთელ მსოფლიოში გაისმის ყრილი ეროვნული მოსკოვიდან. ისტორიული შრომითი გმირობის დიდებით არის აღნიშნული წარსული წლის ყოველი დღე. უშიშრად და გულადად მიგყავთ თქვენ თქვენი ხალხი წმიდა მიზნისაკენ — ფრონტზე გამარჯვებისაკენ. თქვენ განუწყვეტლივ აღფრთოვანებთ საბჭოთა ადამიანებს ფრონტზე და ზურგში. თქვენი სახით, საყვარელო ბელადო, ჩვენ ვხედავთ ყველა დროისა და ხალხის უდიდეს მხედართმთავარს. თქვენმა გენიამ მემკვიდრეობით მიიღო და შეისისხლხორცა რუსეთის დიდი პატრიოტების — ალექსანდრე ნევსკის, დიმიტრი დონსკოის, მინინისა და პოჟარსკის, პეტრე 1-ის, სუვოროვისა და კუტუზოვის სამხედრო სიბრძნე. თქვენ გაამდიდრეთ სახელმწიფო და სამხედრო მეცნიერება რუსული კულტურის ყველა მონაპოვარით და მისი უმაღლესი მიღწევით — ლენინიზმით, დიადი ბოლშევიკური პარტიის ბრძოლისა და გამარჯვებათა მთელ საუკუნეებში უჭკნობი გმირული გამოცდილებით. თქვენი უმაღლესი მთავარსარდლობით წითელმა არმიამ წარმატებით დაამთავრა ზამთრის კამპანია და ბრწყინვალედ ჩაატარა ზაფხულის გრანდიოზული შეტევა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. სტალინგრადის ბრძოლამ განსაზღვრა გერმანელ ფაშისტთა არმიის აღსასრული, ხოლო კურსკთან ბრძოლამ კატასტროფის წინაშე დააყენა იგი.

დიდი სიხარულით ვისმენდით ჩვენ 6 ნოემბერს თქვენს ისტორიულ მოხსენებას, თქვენს სიტყვებს იმის შესახებ, რომ მტრის წარსული უპირატესობა ტანკების, თვითმფრინავების, ნაღმსატყორცნების, ავტომატების რაოდენობის მხრივ მოსპობილია, რომ ჩვენი არმია ამჟამად არ განიცდის შეიარაღების, საომარი მასალის, საჭურველის სერიოზულ ნაკლებობას. ჩვენ ვამაყობთ იმის შეგნებით, რომ საბჭოთა ხალხის პატრიოტულ გმირობაში არის სტალინური ურალის ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების შრომის წილი. შრომსაფრთხილო ლაშქრობაშიც სტალინის სიტყვა ყოველ ქებაზე დიდი რამ არის. ხალხის უმაგალითო გმირობაში თავი გამოიჩინა ჭაღარა ურალმაც. ჩვენს შრომაში ჩვენ ეცდილობდით ვყოფილიყავით ჩვენი ფრონტელი ძმების ღირსნი.

ვასრულებდით რა ურალელთა წმიდა ფიცს, 1943 წელს ჩვენ გამოვუშვით ერთნახევარორჯერ მეტი საჭურველი და საომარი მასალა, ვიდრე 1942 წელს და თავდაცვითი ნაღმსატყორცნების, ავტომატების, ზარაზნების, ნაღმსატყორცნების, საომარი მასალის, ავიაციის ზარბაზნების, ყუმბარების, ტანკების, ავიაციის წარმოება, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მთელი სამხედრო პროდუქციის საბრძოლო ხარისხის სრულყოფას. მივიღეთ ერთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, მუშობის გადამწყვეტ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველვყოთ არმია და ქალაქების მშრომელნი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. მუდმივ მზრუნველობას გამოვიჩენთ მშრომელებისა და პირველ რიგში ფრონტელთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისათვის. ომის შერე გამოწვეულ სიძნელეებს ჩვენ თავდადებული შრომით გადავლახავთ. ომის ყველაზე გარი გასაცდელით ჩვენ მივდივართ ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისაკენ და ისე დარაზმულნი ვართ ჩვენი შშობლიური ლენინ-სტალინის, დიადი პარტიის გარშემო, რომელიც არასოდეს არა ყოფილა ართ. თქვენ ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენ მივდიართ მტერზე სრული და მალე გამარჯვებისაკენ.

დაე მარად სცოცხლობდეს და იმარჯვებდეს ხალხთა მძლავრი სტალინური კავშირი, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო!

შშობლიური სტალინის სახელით — წინ, გამარჯვებისაკენ!

ჩვენს დიდ მარშალს, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს—დიდება!

ანგარიშში განხილული იყო სვერდლოვსკის ოლქის ყველა საწარმოსა, ყველა კოლმეურნეობასა, მტს-სა, საბჭოთა მეურნეობასა, დაწესებულებასა და სასწავლებელში.

ანგარიშს ხელი მოაწერა 1.606.152 კაცმა.

ასოებით გონა მარგანეცი გეგმის ზეპით

ჭიათურა („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ჭიათურის მარგანტრესტის ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ამხ. დ. ერგეშლიძე) საწარმოო გამარჯვებებით შეხვდა ახალ სამეურნეო წელს. მაღაროს კოლექტივმა 28 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების მეოთხე კვარტალის გეგმა. დიდი გადაჭარბებით შესრულდა დეკემბრის დავალებაც. დეკემბრის გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს უბნებმა, რომლებსაც მ. კენჭოშვილი და ს. კვაჭაძე ხელმძღვანელობენ. სტახანოველმა ამშენებელმა პ. მირონაძემ დეკემბრის გეგმა 235 პროცენტით შეასრულა. ს. დავლაძემ—176 პროცენტით, ა. გაფრინდაშვილმა —165 პროცენტით, გ. ჯიქიძემ—155 პროცენტით.

მაღაროს კოლექტივმა დეკემბერში გეგმის ვადამეტებით ასობით ტონა მარგანეცი მოგვცა.

პ. ჭიოლაძე

26.500 წყვილი ფეხსაცმელი გეგმის გადამეტებით

ამხანაგ სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენების პასუხად ნაკისრი ვალდებულება ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ალავიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ცქიტაშვილი) წარმატებით განხორციელა.

ფეხსაცმლის გამოშვების დეკემბრის გეგმა ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა. 1943 წლის მეოთხე კვარტალის ეკემა წარმატებით არის შესრულებული. მარტო დეკემბრის განმავლობაში კვარტალური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 26.500 წყვილი ფეხსაცმელი.

გეგმების შესრულება

საგარეჯოს რაიონმა 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები წარმატებით შეასრულა. სახელმწიფოსათვის სავალდებულო წესით ჩაბარებულია 403 ტონა ხორცი—გეგმის 100 პროცენტი, წითელი არმიის ფონდში კი—61 ტონა, გეგმის 100 პროცენტი, გარდა ამისა 1944 წლის ანგარიშში ავანსად ჩაბარებულია 70 ტონა ხორცი. რაიონში გადამეტებით არის შესრულებული რძის, კვერცხის, ტყავის და სხვ. ჩაბარების გეგმები.

ხაკ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი ბ. ჟურაშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. მუჩიაშვილი

* * *

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოიის ჩაბარების გეგმა, შესრულებულია აგრეთვე სიმინდისა და სოიის ჩაბარების ვალდებულება ნატურანაზღაურებისათვის. ამავე დროს 1944 წლის ნატურანაზღაურების ანგარიშში ავანსად ჩაბარებულია 1.023 ფუთი. გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია წითელი არმიის პურის ფონდში 744 ფუთი მარცვლეული.

ხაკ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი ქაკაბაძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კალანდაძე

* * *

ხულოს რაიონმა შეასრულა სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების გეგმა. კარტოფილი ჩაბარებულია სავალდებულო წესით 558.340 კილოგრამი, შესყიდვის წესით კი — 765.000 კილოგრამი.

ხაკ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივანი ტაკიძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მაკულაძე

ახალი 1944 წელი

„პრავდის“ მოწინავე — 1 იანვარი

სამამული ომის ცეცხლში ახალ დიდ ბრძოლათა ზღურბლზე შემოდის ჩვენს ქვეყანაში ახალი, 1944 წელი. მთელი ჩვენი ხალხი მას ხვდება და მიესალმება ღრმა რწმენით, რომ იგი ახალ, გადამწყვეტ წარმატებებს მოუტანს ჩვენს გმირ წითელ არმიას, მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებს.

წარსულმა 1943 წელმა ყოველივე გააკეთა, რათა მისი მემკვიდრე, ახალი წელი, ომის გადამწყვეტი წელი გახდეს. შემმნილია ხელშემწყობი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ მთელი საბჭოთა მიწა-წყალი გაიწმინდოს საზიზღარ დამპყრობთაგან, რომ წითელი არმიის მიერ დაწყებული განადგურება ჰიტლერული ვერმანიისა და მისი ვასალებისა ძლევამოსილად დამთავრდეს.

წარსულმა წელმა თან წაიღო ჰიტლერელ ყაჩაღთა ყველა იმედი. წითელმა არმიამ გაიკამეტვრა ჰიტლერის ყველა გეგმა და გამანადგურებელი დარტყმებით აიძულა გერმანელ ფაშისტთა ურდოები განუწყვეტლივ იხიონ უკან. დაიწყო რა წარსული წელი სტალინგრადთან გერმანელების განადგურებით, გერმანელთა უზარმაზარი არმიის გარეშემოცვით, განადგურებითა და დატყვევებით, წითელმა არმიამ განაგრძო წელიწადი ბრწყინვალე შეტევით ფრონტზე ორიოლიდან ტაგანროგამდე და დაამთავრა დნეპრის შესანიშნავი გადალახვით, კიევის, კოროსტენის, კაზატინის, ჟიტომირისა და სხვა ქალაქების განთავისუფლებით.

გერმანელები განდევნილი არიან მათ მიერ დროებით დაპყრობილი საბჭოთა ტერიტორიის ორი მესამედიდან. წითელი არმია წარმატებით სწევდეს გერმანელ დამპყრობთაგან დანარჩენ მესამედს. ბილიონობით საბჭოთა მოქალაქენი დავუბრუნეთ საბჭოთა ოჯახს. საბჭოთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი სასხრები დავუბრუნეთ სამშობლოს და კვლავ დავაყენეთ წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხს სამსახურში.

გასული წელი წითელი არმიის გაზრდილი ოსტატობის მოწმე იყო. მამაცობის, თავდადების, უშიშრობის ურიცხვ საგმირო საქმეებში საბჭოთა მეომრები სტალინურ სამხედრო მეცნიერებაზე აღზრდილი ნიჭიერი გენერლების წინამძღოლობით, უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით უფართოესი ფრონტის ყველა უბანზე გამანადგურებლად ურტყამდნენ გერმანელებს. საბჭოთა იარაღმა გასულ წელს ახალი უკვდავი სახელი მოიხვეჭა.

მოსკოვი სამშობლოს სახელით სალუტს აძლევდა გმირ საბჭოთა ჯარებს, რომლებიც ათავისუფლებენ მტრის მიერ დროებით დაპყრობილ სულ ახალ და ახალ ქალაქებსა და რაიონებს, მამაცი პარტიზანები და პარტიზანი ქალები ეხმარებოდნენ წითელ არმიას მისი ისტორიული მისიის განხორციელებაში.

კარგად, თავდადებულად შრომობდა საბჭოთა ხალხი გასულ წელში. პატრიოტულმა აღფრთოვანებამ სოციალისტურ შეჯიბრებაში ძალები შეჰმატა ჩვენს ქვეყანას. შეუფერხებლად მიდიოდა ფრონტზე ყველა სახის იარაღის მზარდი ნაკადი. მუშები, ინჟინრები, მეცნიერები ერთსულოვნად შრომობდნენ, რათა წითელი არმიისათვის ჰიეცათ ყველაზე სრულყოფილი საჭურველი, რომელიც მტრის ტექნიკაზე უმჯობესი იქნებოდა. თავდადებით შრომობს ომის დღეებში კოლმეურნე გლეხობა.

საბჭოთა ზურგის გმირობამ მაღალი შეფასება ჰპოვა ამხანაგ სტალინის სიტყვებში. მაგნიტოგორსკელებმა ომიანობის დროის მძიმე პირობებში უმაგალითოდ მოკლე ვადაში აშენეს უდიდესი ბრძმედი. საწარმოო სიმძლავრეთა განუწყვეტელი ზრდა უზრუნველყოფს ლითონის წარმოების შემდგომ აღმავლობას ვერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებისათვის.

მტერი გაბოროტებით, შურის საძიებლად ანგრევს საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს. გერმანელი ბარბაროსები ვარაუდობდნენ დაპყრობილ რაიონებში მეურნეობისა და კულტურის დანგრევით დაეფუსტებინეთ, რათა თავიანთი უკუქცეული ჯარები საბოლოო გადაგურებისაგან გადაერჩინათ. სულელური ვარაუდია! გასულ წელს განთავისუფლებულ რაიონებში უდიდესი აღდგენითი მუშაობაა გაწეული. ხალხის ენერგია დაუშრეტელია. საბჭოთა ხალხების მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების მძლავრი წყაროა ხარკოვი და კიევი, სმოლენსკი და კურსკი — გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული ყველა ქალაქი ფეხზე დგება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ძმური დახმარებით.

გერმანელი დამპყრობლები იმით ინუგეშებდნენ თავს, რომ დონბასი ნანგრევებად აქციეს. მტერი ანგარიშში მოსტყუდა. ენკიეკოს მეტალურგიულ ქარხანაში ორი ბრძმედის აღდგენა და ამუშავება მოწმობს იმას, რომ ცოცხლობს დონბასი, სძგერს მისი მძლავრი გული, ახალი ძალა ემატება მის ჯანსაღ კუნთებს.

ახალი ენერგია შთაბერა საბჭოთა ხალხის გულს ამხანაგ სტალინის სიტყვებმა, რომლებითაც მან ენა�ოვოელებს მიმართა: „თქვენი საუცხო მუშაობით თქვენ დასაწყისი მიეცით დონბასის შავი მეტალურგიის აღდგენას და დამტკიცეთ, რომ მრეწველობის აღდგენისა და გერმანელთა ბარბაროსული პარპაშის შედეგთა ლიკვიდაციის ძნელი ამოცანა შეიძლება მოკლე ვადაში იქნას გადაჭრილი“.

წითელი არმიის გამარჯვებებმა და საბჭოთა ზურგის გმირულმა მიღწევებმა ახალ უდიდეს სიმაღლეზე აიყვანეს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. ჩაიფუშა მტრის ყველა ცდა უთანხმოება გამოეწვია ჰიტლერიზმზე გასაძარჯვებლად გაერთიანებულ დიდ სახელმწიფოებს შორის. მოსკოვის კონფერენციის შემდეგ შემდგარი სამი მოკავშირე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის—ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენცია ისტორიული მიჯნა გახდა ომის მსვლელობაში. ფაშიზმის საქმე საბოლოოდ წაგებულია. შორს არ არის ის ჟამი, როდესაც გაწამებული კაცობრიობის წინაშე წითელი არმიის გამარჯვებანი, მოკავშირეთა არმიების გამარჯვებანი გადაშლიან მშვიდობიანი შრომის, მეურნეობის აღდგენის, შემდგომი განვითარების სანატრელ გზას.

გამარჯვება ახლოა. მაგრამ იგი თავისთავად ვერ მოვა. იგი უნდა მოვიპოვოთ ფრონტზე თავდადებული ბრძოლით, ზურგში დაძაბული შრომით. აქეთკენ მოუწოდებს ჩვენს ხალხს საბჭოთა მთავრობა, ლენინ-სტალინის პარტია. ამაზე ლაპარაკობს ამხ. მ. ი. კალინინის საახალწლო სიტყვა.

ამაღლებული, გულის სიღრმემდე ჩაწვდომი გრძნობებით ცხოვრობდა გასულ წელს საბჭოთა ხალხი. ხალხის შვილები გმირულ ბრძოლებში სწყვეტდნენ სამშობლოს ბედ-იღბალს, თაობათა ბედ-იღბალს. სიამაყის დიადი გრძნობა აღავსებდა საბჭოთა ადამიანების გულს, როდესაც მოსკოვში გრიალებდა სალუტი ჩვენი სახელოვანი გამარჯვებების აღსანიშნავად. მთელი თავისი სილამაზით, მთელი თავისი ზნეობრივი მომხიბლავობით სდგებოდა ხალხის წინ ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლო. დიდი რუსეთი, რომელმაც შეიმჭედროვა საბჭოთა კავშირის ხალხები და ძალა მისცა მათს ძმურ მეგობრობას, მზურვალე სიყვარულს გრძნობას იწვევს ყველა საბჭოთა ხალხში. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ლენინ-სტალინის გენიით შექმნილმა სოციალისტურმა სახელმწიფომ, როგორც ურყევმა დასაყრდენმა, დაიცვა ჩვენი ქვეყნის ხალხები შებილწვისა და ჰიტლერული მონობისაგან.

პატრიოტულ აღფრთოვანებაში, რომელმაც ჩვენი ქვეყანა მოიცვა, იშვა საბჭოთა კავშირის ახალი სახელმწიფო ჰიმნი. მის საზეიმო სიტყვებში ჩაქსოვილია ხალხის უსაზღვრო სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, რომელიც ხალხთა თავისუფლების ბურჯი გახდა, ჩაქსოვილია მგზნებარე სიძულვილი დამპყრობთადმი, რომლებმაც ხელჰყვეს ჩვენი დედა-სამშობლოს თავისუფლება და ღირსება, ჩაქსოვილია ზეიმი ლენინ-სტალინის დიდი და წმიდა იდეებისა, რომლებმაც წითელ არმიასა და მთელ ხალხს მისცეს უძლეველი ძალა სამამულო ომის მრისხანე ჟამს.

თავისი ძალის შეგნებით, თავისი საქმის წმიდა სიმართლის შეგნებით, გამარჯვების ღრმა რწმენით ხვდება საბჭოთა ხალხი ახალ წელს.

Мы в битвах решаем судьбу поколений,
Мы к славе Отчизну свою поведём!

დიდება ჩვენს სამშობლოს, დიდება ლენინ-სტალინის პარტიას, დიდება საბჭოთა კავშირის ხალხებს!

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

ამერიკის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა საახალწლო მისალმებანი საბჭოთა კავშირისადმი

ნიუ-იორკი, 30 დეკემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთელმა რიგმა სახელმწიფო მოღვაწეებმა თავიანთი საახალწლო მისალმებანი გამოუგზავნეს საბჭოთა კავშირს საკდესის განყოფილების საშუალებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი უოლესი თავის მისალმებაში საბჭოთა კავშირისადმი სწერს:

„რუსი ხალხის სულის სიღრმეში ეს წელზე მეტ ხანს არსებობდა შეგნება სახალხო ძალისა, რომელიც აღადგენს სამართლიანობას უბრალო ადამიანის საკეთილდღეოდ“. უოლესი შემდეგ აცხადებს: „1944 წელი იქნება მოწმე მოკავშირეთა შეთანხმებული ღონისძიებებისა, რომელნიც სრულ გამარჯვებას მოგვიტანენ და ახალ-ახალ შესაძლებლობას შეუქმნიან უბრალო ადამიანს ყველა ქვეყანაში“.

სამხედრო წარმოების საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარე ნელსონი სწერს:

„მივესალმები საბჭოთა ხალხს და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთ ახალი წლის წინ. მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ მეგობრობა ჩვენს დიდ ხალხებს შორის, რომელიც ისევე განუხრელად იზრდება, როგორც ჩვენი თანამშრომლობა მოკავშირეთა სახით, კვლავ განმტკიცდება და სრულ აყვავებას მიაღწევს მშვიდობიანობის წლებში, რომლებიც ჩვენს საერთო გამარჯვებას მოჰყვება“.

შინაგან საქმეთა მინისტრი იკესი, ეგზაიანის რა გულწრფელ საახალწლო მისალმებას უძღვიან მებრძოლთ—საბჭოთა კავშირის მამაკაცებსა და ქალებს და ფრონტის ძლევამოსილ ხაზებს ვადაღმა მყოფ მტკიცე მოქალაქეებს, აცხადებს: „გისურვებთ თქვენ, ჩემს ქვეყანას და ნოსფლიოს ყველა დემოკრატიულ ხალხებს ახალი წლის წინ, რომ ჰამაცობამ, გულადობამ, ვაჟკაცობამ და თავგანწირვამ, რაც ესოდენ მეფიოდ გამოიაშკარავდა შარშან, შესძლონ საბოლოოდ მოსპონ საერთო მტერი ახალ წელში“.

თავის მისალმებაში წარმომადგენელთა ჰალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ბლუმი** სწერს, რომ საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის მიერ მათი გმირობის გამო მოგებული მორალური [illegible] ძველს გვაძლევს [illegible] 1944 წელი [illegible] ბას, მტკიცე გამარჯვებას, რომელიც საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს ხალხთათვის უზრუნველყოფს „შვიდობიანობასა და უშიშროებას“.

ამერიკის ყოფილი ელჩი სსრ კავშირში **დევისი** ულოცავს სსრ კავშირს, რომ „მარშალ სტალინის დიადი ხელმძღვანელობით, რომელსაც პატივისცემითა და მადლობით იხსენიებს მთელი მსოფლიო, საბჭოთა კავშირის ხალხმა და წითელმა არმიამ არა მარტო გაითვალისწინეს ფაშისტური აგრესიის საფრთხე, არამედ მრძანდან და დიდი მაპაცობით შეასრულეს ისეთი მოქმედება, რაც უზრუნველყოფს ამ აგრესიის საბოლოო მოსპობას“.

თავის „საახალწლო მილოცვებს და სუკეთესო სურვილებს საბჭოთა კავშირის ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს“ უძღვნის ინრრას გენერალური დირექტორი **ლიმენი.**

პოლარეთის მკვლევარი **სტეფანსონი** თავის მისალმებაში სწერს: „მე უდიდეს პატივად მიმაჩნია საახალწლო მილოცვები შეეუთვალო საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს. წითელმა არმიამ უფრო მეტად, ვიდრე ერთად აღებულმა მთელმა დანარჩენმა ძალებმა, გადაარჩინა მსოფლიო მთელი კაცობრიობის დაპყრობისა და დამონების, ცდას, რაც მოფიქრებული იყო ჯოჯოხეთური სიმარჯვით და ხორცელდებოდა ულიდესი ძალით. ჩვენი ქვეყანა ამაყობს იმით, რომ თქვენთან თანამშრომლობს ამ ბრძოლასა და გამარჯვებაში, რომელიც ამჟამად შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს. საბჭოთა კავშირმა მისცა თავისუფლებისმოყვარე მთელ კაცობრიობას იმედი ბედნიერებისა ახალ წელში“.

„იმის ამბავი, რომ ჩემი ქვეყანა და ინგლისი შეუკავშირნენ სსრ კავშირის ხალხებს ომში გამარჯვების მოსაპოვებლად და მუდმივი მშვიდობიანობის დასამყარებლად, ყველაზე ბედნიერი ამბავია მთელს ჩემს ცხოვრებაში“,—სწერს მწერალი **ეიტონ სინკლერი.**

რუზველტის საახალწლო მიმართვა

ლონდონი, 1 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, პრეზიდენტმა რუზველტმა დღეს საახალწლო მიმართვა გაუგზავნა ამერიკელ ხალხს; მიმართვაში ნათქვამია:

„ჩვენ შეტევაზე გადავედით. რკალი ჩვენი მტრების გარშემო ულმობლად ვიწროვდება. ჩვენი შეიარაღებული ძალები ემზადებიან ახალი, უფრო დიდი შეტევებისათვის, რომელებსაც მოჰყვება ღრმის აგრესიულ სახელმწიფოთა განადგურება. იმავდროულად ერთიანებული ერები ყურადღებას უთმობენ აგრეთვე სხვა ბრძოლას, რომელიც უნდა მოჰყვეს საშინელ ბრძოლებს, ყურადღებას უთმობენ ბრძოლას ავადმყოფობათა, შიმშილობისა, უმუშევრობისა და ეკონომიურ და სოციალურ უბედურებათა მრავალი სხვა ფორმის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლებში ჩვენ ეფუძნებიან ერთ-ერთ ფუძეს, ეს ფუძე ეკუთვნის ამერიკელ ფერმერებს. ეს ფუძე ეკუთვნის ამერიკელ ინჟინრებს, ეს ფუძე ეკუთვნის ამერიკელ ექიმებს, ეს ფუძე ეკუთვნის ამერიკელ მასწავლებლებს, ეს ფუძე ეკუთვნის ამერიკელ ბიზნესმენებს, ეს ფუძე ეკუთვნის ამერიკელ ინტელიგენციას—ინჟინრებს, კონსტრუქტორებს, ტექნიკოსებს და მეცნიერებს მუშებთან ერთად თავისი გამოგონებებითა და წარმოების გაუმჯობესებით თავდადებულად ეხმარება ფრონტს.

ჩვენ ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ გამარჯვების გზა ადვილი როდია, გამარჯვება უბრძოლველად და ძალების დაუძაბვად არ მოიპოვება. ჩვენ მზად ვართ გადავლახოთ ყოველგვარი სიძნელე და ღირსეულად შევასრულოთ, ჩვენო ძვირფასო ბელადო, თქვენი ყოველი დავალება. ახალ 1944 წელს ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ შრომის ნაყოფიერება სულ მცირე 20 პროცენტით გავადიდოთ და მივაღწიოთ იმას, რომ ოლქის, მრეწველობის ყველა დარგმა, ყველა საწარმომ წარმატებით შეასრულოს და გადამეტებით შეასრულოს სახელმწიფო გეგმები.

ჩვენ ფიცსა ვდებთ თქვენს წინაშე, ძვირფასო ბელადო, გამოვიჩინოთ მუდმივი მზრუნველობა სამხედრო მრეწველობის ზრდისათვის, გარანტიულად გავადიდოთ ტანკების, ზარბაზნების, ნაღმსატყორცნების, საომარი მასალის, ავიაციის წარმოება, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ მთელი სამხედრო პროდუქციის საბრძოლო ხარისხის სრულყოფას. მივიღეთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, მუშობის გადამწყვეტ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველვყოთ არმია და ქალაქების მშრომელნი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. მუდმივ მზრუნველობას გამოვიჩენთ მშრომელებისა და პირველ რიგში ფრონტელთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისათვის. ომის შერე გამოწვეულ სიძნელეებს ჩვენ თავდადებული შრომით გადავლახავთ. ომის ყველაზე გარი გასაცდელით ჩვენ მივდივართ ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისაკენ და ისე დარაზმულნი ვართ ჩვენი შშობლიური ლენინ-სტალინის, დიადი პარტიის გარშემო, რომელიც არასოდეს არა ყოფილვართ. თქვენ ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენ მივდივართ მტერზე სრული და მალე გამარჯვებისაკენ.

ამერიკელ ფერმერებს ეხმარებიან ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს ეხმარებიან ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს ეხმარებიან ჩვენს ქვეყანასა და ფრონტ